EAST EUROPEAN UNIVERSITY

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

__დამტკიცებულია:__ უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 13 დეკემბრის №66/01-08 ბრძანებით

__განახლებულია:__ უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის №20/01-01 ბრძანებით

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და უზრუნველყოფს სტუდენტის თავისებურებებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას.
2. წესი შემუშავებულია უნივერსიტეტის დებულების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტების საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც შედგენილია სტუდენტის ინტერესების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში

2. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები** - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც უჭირს სპეციალური დახმარების გარეშე. სტუდენტთა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებში ერთიანდება სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად წარმართვის საკითხები, კერძოდ: დროის დაგეგმვა, კურსის განხორციელების თავისებურებები (კურაციული სწავლება და სხვა), შეფასების კომპონენტი (შესაძლებელია მოდიფიცირდეს საჭიროებებიდან გამომდინარე), გადაადგილების შესაძლებლობა და სხვა.

თავი II. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა და შეფასება

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა და სტუდენტის რეგისტრაცია

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება, შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული, გაცვლით პროგრამაში მონაწილე, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული, მსჯავრდებული და აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის, ასევე, მათთვის, ვინც აგრძელებს სწავლას იმ პროგრამით, რომელმაც განიცადა მოდიფიცირება და სხვა.
2. მსჯავდებული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვა და ისგ-ს შემუშავება ხდება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 სექტემბრის №864-№100/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების წესის" შესაბამისად.
3. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.
4. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასაშვებია სწავლა-სწავლების პროცესის არასრული დატვირთვით განხორციელება. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შესაძლოა მოიცავდეს 30 (ECTS) კრედიტს;
5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შეიძლება, მითითებული იქნას სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის

მიმართ და სხვა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასევე შეიძლება მოიცავდეს სასწავლო ცხრილს (სასწავლო კურსის დაწყებისა და დასრულების დროისა და ვადების მითითებით), რომელიც განუყოფელი ნაწილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების საჭიროებას ადგენს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენისთანავე.
7. სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (EEU-EL) მეშვეობით განცხადებით მიმართავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).
8. სტუდენტის განცხადებას განიხილავს და საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმას (ისგ) შეიმუშავებს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები (მაგალითად, სტუდენტი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებლ(ებ)ი, განათლების დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლები. გეგმის შემუშავებაში შესაძლებელია, მონაწილეობდნენ სპეციალური კომპეტენციის მქონე პირი/პირები (ფსიქოლოგები, მედიკოსები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სხვა).
9. სტუდენტისათვის შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ისგ-ს შემუშავების ჯგუფი დასამტკიცებლად უგზავნის ფაკულტეტის დეკანს.
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გასაცნობად გადაეცემა სტუდენტს.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება, შემუშავდეს სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.
12. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (EEU-EL).

მუხლი 4. შეფასების სისტემა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულების'' მიხედვით.
2. სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შეფასების შესაბამისი ფორმატი (მაგალითად, დავალების/გამოცდის ფორმის შეცვლა, ელექტრონული გამოკითხვა, შეფასების ხანგრძლივობის ვადის გაზრდის/გადავადების შესაძლებლობა და ა.შ.)

მუხლი 5. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულება

1. ისგ-ს შემუშავების ჯგუფი აღრიცხავს/მონიტორინგს უწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხორციელების/შესრულების პროცესს და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.
2. სტუდენტი ვალდებულია, შეასრულოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების სისტემატური დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მომდევნო სემესტრში კარგავს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მუხლი 6. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, გაუქმება

1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე ან დეკანის ინიციატივით.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში შესატან ცვლილებებს ამზადებს ისგ-ს შემუშავების ჯგუფი, რომლის წარდგინებით ცვლილებებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი.

თავი III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 7

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.